განკარგულება:**გ-31. 31253032**
თარიღი:**30/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №43

2025 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 50-ე მუხლის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის N1 სხდომის ოქმის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

მუხლი 1. ახალარჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევის, პროცედურული საკითხების (ბიულეტენების მომზადების, დარიგების, ხმების დათვლის) და კენჭისყრის პროცესის ჩატარების მიზნით, არჩეულ იქნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.დარეჯან ბურჭულაძე

2.ელისო ჭიჭინაძე

3.ივანე ებრალიძე

მუხლი 2. ხმის დამთვლელი დროებითი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის

შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს სხდომის უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი